შპს „ჯეოსტარი“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი
მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის (მსს ფასს სტანდარტი)
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს „ჯეოსტარი“
ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავალის ანგარიშგება 1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 4

ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები:

1. კომპანია და მისი ოპერაციები 5
2. კომპანიის საოპერაციო გარემო 5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა 6
4. გადამწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების განუსაზღვრელობის მნიშვნელოვანი წყაროები 17
5. შემოსავალი რეალიზაციიდან 18
6. გაყიდული საქონლის თვითღირებულება და მარაგები 18
7. გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯები 18
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 19
9. მოგების გადასახადი 19
10. სესხები და ნასესხები სახსრები 19
11. ძირითადი საშუალებები 20
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 20
13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 21
14. კაპიტალი 22
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 22
16. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 22
17. პირობითი ვალდებულებები 23
18. ფინანსური ანგარიშგების შემდგომი მოვლენები 23
19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება 23

5-23 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს აუდიტ ენდ ბიზნეს სოლუშენს
საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი: 402293987
დ. აღმაშენებლის გამზ 61, ბიზნეს ცენტრი მოზაიკა
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჯეოსტარის“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ჯეოსტარის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს-ის) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს წინამდებარე მოთხოვნები და IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

ჩვენ ვამახვილებთ თქვენს ყურადღებას მესამე ახსნა განმარტებით შენიშვნაში წარმოდგენილ შესადარის პერიოდის ნაშთების ცვლილებებზე, რომელიც ხელმძღვანელობამ მიიჩნია შესაფერისად აესახა მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

შპს აუდიტ ენდ ბიზნეს სოლუშენს
საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი: 402293987
დ. აღმაშენებლის გამზ 61, ბიზნეს ცენტრი მოზაიკა
თბილისი, საქართველო

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, ვალდებულები ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს აუდიტ ენდ ბიზნეს სოლუშენს
საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი: 402293987
დ. აღმაშენებლის გამზ 61, ბიზნეს ცენტრი მოზაიკა
თბილისი, საქართველო

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების გონივრულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ანგარიში სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს მმართველობითი ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი მმართველობითი ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

შპს აუდიტ ენდ ბიზნეს სოლუშენს
საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი: 402293987
დ. აღმაშენებლის გამზ 61, ბიზნეს ცენტრი მოზაიკა
თბილისი, საქართველო

ABS
AUDIT & BUSINESS SOLUTIONS

ჩვენი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება, მოსაზრება გამოვთქვათ იმის თაობაზე, მმართველობითი ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა სათანადო ნორმატიულ აქტებს და განვიხილოთ, შეიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით სავალდებულო ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს.

ნათია სვანაძე (SARAS-A-594099)

შპს „აუდიტ ენდ ბიზნეს სოლუშენს“ სახელით (SARAS-F-502517)
თბილისი, საქართველო
26 სექტემბერი, 2025

	შენიშვნა	2024	2023 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	34,369	42,608
თვითღირებულების ხარჯი	6	(27,097)	(32,119)
მთლიანი მოგება		**7,272**	**10,489**
გაყიდვების და დისტრიბუციის ხარჯები	7	(6,209)	(6,432)
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,070)	(988)
ფინანსური ხარჯები	10	(1,083)	(998)
საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი, წმინდა		(311)	(115)
სხვა შემოსავალი		11	5
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)		**(1,390)**	**1,961**
მოგების გადასახადი	9	(35)	(95)
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)		**(1,425)**	**1,866**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი/(ზარალი)		**(1,425)**	**1,866**

* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 26 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

_____

დირექტორი
მუხრან ბერიძე

შ პ ს „ჯეოსტარი“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავალის ანგარიშგება

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	34,369	42,608
თვითღირებულების ხარჯი	6	(27,097)	(32,119)
მთლიანი მოგება		**7,272**	**10,489**
გაყიდვების და დისტრიბუციის ხარჯები	7	(6,209)	(6,432)
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,070)	(988)
ფინანსური ხარჯები	10	(1,083)	(998)
საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი, წმინდა		(311)	(115)
სხვა შემოსავალი		11	5
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)		(1,390)	1,961
მოგების გადასახადი	9	(35)	(95)
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)		(1,425)	1,866
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი/(ზარალი)		(1,425)	1,866

* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 26 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

მუხრან ბერიძე

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024 წ.	31 დეკემბერი 2023 წ. *(გადაანგარიშებული)*	31 დეკემბერი 2022 წ. *(გადაანგარიშებული)*
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	11	190	250	248
არამატერიალური აქტივები	11	82	70	8
სულ გრძელვადიანი აქტივები		**272**	**320**	**256**
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	8,292	7,975	6,316
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	14,718	14,321	12,966
საგადასახადო აქტივი		275	-	-
ავანსები მომწოდებლებისთვის	12	396	16	16
ფული და ფულის ექვივალენტები	13	448	722	405
სულ მიმდინარე აქტივები		**24,129**	**23,034**	**19,703**
სულ აქტივები		**24,401**	**23,354**	**19,959**
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	14	2	2	2
გაუნაწილებელი მოგება/(აკუმულირებული ზარალი)		9,682	11,307	9,981
სულ კაპიტალი		**9,684**	**11,309**	**9,983**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	10	-	585	1,146
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**-**	**585**	**1,146**
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	10	12,161	8,980	7,415
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	15	2,556	2,407	1,362
საგადასახადო ვალდებულება		-	73	53
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**14,717**	**11,460**	**8,830**
სულ ვალდებულებები		**14,717**	**12,045**	**9,976**
სულ კაპიტალი და ვალდებულება		**24,401**	**23,354**	**19,959**

* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 26 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

_____

დირექტორი
მუხრან ბერიძე

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024 წ.	31 დეკემბერი 2023 წ. *(გადაანგარიშებული)*	31 დეკემბერი 2022 წ. *(გადაანგარიშებული)*
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	11	190	250	248
არამატერიალური აქტივები	11	82	70	8
სულ გრძელვადიანი აქტივები		272	320	256
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	8,292	7,975	6,316
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	14,718	14,321	12,966
საგადასახადო აქტივი		275	-	-
ავანსები მომწოდებლებისთვის	12	396	16	16
ფული და ფულის ექვივალენტები	13	448	722	405
სულ მიმდინარე აქტივები		24,129	23,034	19,703
სულ აქტივები		24,401	23,354	19,959
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	14	2	2	2
გაუნაწილებელი მოგება/(აკუმულირებული ზარალი)		9,682	11,307	9,981
სულ კაპიტალი		9,684	11,309	9,983
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	10	-	585	1,146
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	585	1,146
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	10	12,161	8,980	7,415
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	15	2,556	2,407	1,362
საგადასახადო ვალდებულება		-	73	53
სულ მიმდინარე ვალდებულებები		14,717	11,460	8,830
სულ ვალდებულებები		14,717	12,045	9,976
სულ კაპიტალი და ვალდებულება		24,401	23,354	19,959

* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 26 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:



დირექტორი
მუხრან ბერიძე

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2022 წლის 31 დეკემბერს (გადაანგარიშებული)	**2**	**9,981**	**9,983**
გაცემული დივიდენდი	-	(540)	(540)
წლის მოგება (გადაანგარიშებული)	-	1,866	1,866
2023 წლის 31 დეკემბერს (გადაანგარიშებული)	**2**	**11,307**	**11,309**
გაცემული დივიდენდი	-	(200)	(200)
წლის ზარალი	-	(1,425)	(1,425)
2024 წლის 31 დეკემბერს	**2**	**9,682**	**9,684**

	შენიშვნა	***2024***	***2023*** *(გადაანგარიშებული)*
საოპერაციო საქმიანობა			
დასაბეგრი (ზარალი)/მოგება		**(1,390)**	**1,961**
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	8	64	82
სავაჭრო ანარიცხები	7	15	97
ფინანსური დანახარჯები	10	1,083	998
საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი, წმინდა		311	115
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული მოგება		(3)	(6)
		80	**3,247**
ცვლილება შემდეგ მუხლებში:			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		(317)	(1,659)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		(505)	(1,449)
გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები		(380)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		102	1,025
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		(348)	19
ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან პროცენტის გადახდამდე		**(1,368)**	**1,183**
საპროცენტო ხარჯი	10	(1,044)	(990)
მოგების გადასახადის გადახდა	9	(35)	(95)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(2,447)**	**98**
საინვესტიციო საქმიანობა			
გრძელვადიანი აქტივების შესყიდვა	11	(37)	(194)
ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან მიღებული შემოსავალი		24	54
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(13)**	**(140)**
საფინანსო საქმიანობა			
სესხის ათვისება	10	18,620	28,166
სესხის დაფარვა	10	(16,063)	(27,170)
დივიდენდის გადახდა	14	(200)	(540)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**2,357**	**456**
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		**(103)**	**414**
ნაღდი ფული წლის დასაწყისში	13	722	405
სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(171)	(97)
ნაღდი ფული 31 დეკემბრის მდგომარეობით	13	**448**	**722**

1. კომპანია და მისი ოპერაციები

შპს „ჯეოსტარი“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2004 წლის ოქტომბერში. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 202243401.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ჰიგიენური საქონლისა და სურსათის იმპორტი და დისტრიბუცია. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, სამგორის ქ. 36ბ.

2023 წლის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები და წილობრივი გადანაწილება შემდეგნაირია: არჩილ მაზიაშვილი - 50%, გია გიგოლაშვილი - 50%.

2023 წლის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 219 და 202.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველოს არ აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში ოპერაციები შესაძლოა მოიცავდეს რისკებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე, მათ შორის რისკს, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, არსებობს ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის რისკები, და სასესხო და კაპიტალის ბაზრები არ არის სათანადოდ განვითარებული. ამასთან, საქართველოზე, როგორც პატარა ზომის ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანაზე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გლობალური და რეგიონული რყევები. პოლიტიკური განუსაზღვრელობა, მაგალითად, როგორიც მოჰყვა საქართველოს 2024 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს შეიძლება აისახოს მომხმარებლების და ბიზნესების განწყობაზე, და პოტენციურად განაპირობოს უფრო სუსტი ეკონომიკური ზრდა და ლარის გაუფასურება.

ამ რისკების მიუხედავად, საქართველომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში გააუმჯობესა საინვესტიციო კლიმატი. საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. ამ რეფორმებს შორის არის ახალი კანონმდებლობის მიღება, ახალი საგადასახადო კოდექსისა და საპროცესო კანონების ჩათვლით. ხელმძღვანელობის აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ამცირებს ბიზნესის წარმოების რისკებს საქართველოში.

საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ წელიწადში 6,7%-ით გაიზარდა 2024 წლის დეკემბერში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის („საქსტატი“) მიერ 2025 წლის 31 იანვარს გამოცემული სწრაფი შეფასების მიხედვით. ზრდა დაფიქსირდა ფინანსურ და სადაზღვევო საქმიანობებში, პროფესიონალურ, სამეცნიერო და ტექნიკურ, სატრანსპორტო და სასაწყობე, სავაჭრო, საინფორმაციო და საკომუნიკაციო საქმიანობებში. ამასთან, წინა წელთან შედარებით მოსალოდნელმა რეალურმა მშპ-ის ზრდამ 2024 წელს 9.5% შეადგინა. „საქსტატის“ მონაცემებით, 2024 წლის დეკემბერში წლიურმა ინფლაციის დონემ 1,9% შეადგინა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

განცხადება შესაბამისობაზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის“ (მსს ფასს სტანდარტი) მიხედვით.

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა იმ დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და განაგრძობს ფუნქციონირებას განჭვრეტად მომავალში.

მიუხედავად იმისა რომ კომპანიამ 2024 წელს, განიცადა ფინანსური ზარალი და ასევე, კომპანიის საოპრაციო ფულადი ნაკადები შემცირებულია, მისი მიმდინარე აქტივები მნიშვნელოვნად აჭარბებს მიმდინარე ვალდებულებს, რაც ამცირებს ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ასევე, კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა, რომელიც 2025 წელს განხორციელდა, კომპანიის მომგებიანობა ისევ სტაბილურ ფაზაში დააბრუნდა, კერძოდ კაპიტალში მობილიზებული იქნა 2.5 მილიონი ლარი და საოპერაციო სხვადასხვა გადაწყვეტილებების შედეგად, 2025 წლის მოგება კვლავ გაზრდილია და უტოლდება წინა პერიოდის მომგებიანობას. ყოველივე ზემოაღნიშნული მიანიშნებს, რომ კომპანიის ხელმძღავენელობას სჯერა, რომ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, კომპანიას არ გააჩნია განუსაზღვრელობა, რომელიც ეჭქვეშ დააყენებს რომ კომპანია გააგრძელებს ფუნციონირებას როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ.

პირვანდელი ღირებულება ჩვეულებრივ აქტივებში გადახდილი საფასურის სამართლიან ღირებულებას ეფუძნება.

სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომლის მიღებაც მოხდებოდა აქტივის გასაყიდად ან ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით ოპერაციაში ვალდებულების გადასაცემად, მიუხედავად იმისა, რომ ფასები პირდაპირ დაკვირვებადია, თუ შეფასების სხვა მეთოდით არის განსაზღვრული. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს აქტივების და ვალდებულებების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები აქტივის და ვალდებულების ფასწარმოების განხორციელებისას ამ მახასიათებლებს გაითვალისწინებენ შეფასების თარიღში.

სამუშაო ვალუტა. ფინანსურ ანგარიშგებაში განსაზღვრული მუხლები ფასდება იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს (შემდგომში „სამუშაო ვალუტა“). კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ლარი, თუ სხვაგვარად არ იქნება განსაზღვრული.

ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთგადაიფარება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ასევე არსებობს სურვილი განხორციელდეს გადახდა წმინდა საფუძველზე ან ერთდროულად აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. შემოსავალი და ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რომლის შესახებაც საგანგებო მითითება არსებობს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ:

ამონაგების აღიარება. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები საზღაურის სამართლიანი ღირებულებით. ის წარმოადგენს საქონლის მიწოდებისთვის მისაღებ თანხებს და აღირიცხება ნებისმიერი ფასდაკლების, დაბრუნებების და დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით. კომპანია ამონაგებს აღიარებს მაშინ, როდესაც მისი თანხა საიმედოდ შეიძლება შეფასდეს; როდესაც სავარაუდოა, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი საწარმოში შემოედინება, ან როდესაც დაკმაყოფილდება კომპანიის თითოეული ზემოთ აღწერილი საქმიანობის კონკრეტული კრიტერიუმები.

საქონლის გაყიდვა. ამონაგები საქონლის გაყიდვიდან აღიარდება იმ მომენტში, როდესაც ხდება საქონლის ფლობის რისკების და სარგებლის გადაცემა, ჩვეულებრივად მაშინ, როდესაც საქონლის მიწოდება ხდება. თუ კომპანია დაეთანმხება საქონლის ტრანსპორტირებას მითითებულ ადგილზე, ამონაგები აღიარდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაეცემა მომხმარებელს, მიწოდების ადგილზე.

ცვალებადი საზღაური. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაური შეიცავს ცვალებად თანხას, კომპანია აფასებს ანაზღაურების იმ ოდენობას, რომლის მიღების უფლებაც ექნება მომხმარებლისთვის საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. ცვალებადი საზღაური განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებისას და შეზღუდულია, ვიდრე არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ამონაგების მნიშვნელოვანი გაუქმება აღიარებული დაგროვილი ამონაგების ოდენობით არ მოხდება, როდესაც შესაბამის ცვალებად ანაზღაურებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა საბოლოოდ აღმოიფხვრება.

მოცულობის გამო ფასდაკლება. ამონაგები საქონლის ფასდაკლებით რეალიზაციიდან აღიარდება ხელშეკრულებაში მითითებული ფასის საფუძველზე, მოსალოდნელი მოცულობითი ფასდაკლებების გამოკლებით. ფასდაკლებების შეფასებისა და უზრუნველყოფისთვის გამოყენება დაგროვილი გამოცდილება, მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, ხოლო ამონაგები აღიარდება იმ ფარგლებში, როდესაც არსებობს მნიშვნელოვანი გაუქმების მაღალი ალბათობა. თანხის დაბრუნების ვალდებულება (მათ შორის სავაჭრო და სხვა ვალდებულება) აღიარდება მოსალოდნელი მოცულობითი ფასდაკლებებისთვის, რომლებსაც მომხმარებლებს გადაუხდიან საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღამდე განხორციელებულ ვაჭრობასთან დაკავშირებით (მე-5 შენიშვნა).

საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე წრფივი მეთოდის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

იმ შემთხვევაში, თუ საოპერაციო იჯარის გასაფორმებლად მიიღება იჯარის წამახალისებელი გადახდები, ეს უკანასკნელები ვალდებულებად აღირიცხება. წამახალისებელი გადახდების აგრეგირებული სარგებლის აღიარება ხდება საიჯარო ხარჯის შემცირების სახით დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

უცხოური ვალუტა. ამ საწარმოს სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტებში (უცხოურ ვალუტებში) გამოხატული გარიგებების აღიარება ხდება ამ გარიგებების თარიღებით მოქმედი სავალუტო კურსებით. ყველა საანგარიშგებო თარიღში, უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი მუხლების გადაყვანა ხდება ამ თარიღით მოქმედი კურსის გამოყენებით. ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი, რომელიც საკურსო სხვაობით წარმოიშვება შესულია ამ პერიოდის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ქვემოთ მოცემულია სავალუტო კურსები წლის ბოლოს მდგომარეობით, რომლებიც გამოიყენა კომპანიამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარი/ლარი	2.8068	2.6894
ევრო/ლარი	2.9306	2.9753

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად, მაგრამ გამორიცხავს ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის დასრულების და გაყიდვის ხარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასი ჩვეული საქმიანობის პროცესში. გზაში მყოფი საქონელი წარმოადგენს ყველა საქონელს, რომელიც შეძენილი და გაგზავნილია, მაგრამ ჯერ არ არის მიწოდებული. საქონლის რისკები და სარგებელი კომპანიას გადაეცემა მათი ტრანსპორტირების დაწყების მომენტიდან.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

გაყიდული საქონლის თვითღირებულება გაყიდული საქონლის თვითღირებულება წარმოადგენს მომწოდებლებისგან შესყიდვების წმინდა თვითღირებულებას, მას შემდეგ, რაც გამოაკლდება მომწოდებლებისგან მიღებული ფასდაკლებები, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და მასტიმულირებელი რეზერვები და დაკორექტირდება საწყისი და საბოლოო მარაგების შესაბამისად. სხვადასხვა სახის ფასდათმობა და რეზერვები მოიცავს ფასდათმობებს მოცულობის გამო, ზრდად ფასდათმობებს და სხვა საკომისიოებს და მიიღება საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებით.

დასაქმებულთა გასამრჯელოები. ხელფასები, წლიური ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და არაფულადი სარგებელი ირიცხება იმ წელს, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი გადახდები.

დაბეგვრა - დამატებული ღირებულების გადასახადი - ამონაგების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შეძენის ღირებულებაში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.
- მოთხოვნები და ვალდებულებები მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დღგ-ის აქტივის ან ვალდებულების ნაწილში.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მოცემული მომენტისთვის გადასახდელი გადასახადის თანხას.

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში (მე-9 შენიშვნა). მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც მოხდება დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებზე დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია საკუთარი კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და პერიოდის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღირიცხება საოპერაციო ხარჯების მუხლში.

მიღებული ავანსები. მიღებული ავანსები წარმოადგენს მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის ვალდებულებას, რომლისთვისაც კომპანიას მომხმარებლისგან მიღებული აქვს ანაზღაურება (ან გადახდა მომავალში მოხდება). თუ მომხმარებელი საზღაურს გადაიხდის მანამდე, სანამ კომპანია მას საქონელს და მომსახურებას მიაწვდის, მიღებული ავანსები აღიარდება მაშინ, როდესაც განხორციელდება გადახდა, ან დადგება მისი გადახდის ვალდებულება (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი). მიღებული ავანსების ამონაგებად აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

მიმწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები. მიმწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები შეუქცევადი თანხების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით აღირიცხება.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივი. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და ამორტიზაცია საჭიროების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალებების ერთეულების პირვანდელი ღირებულება მოიცავს (ა) მის შესყიდვის ფასს, მათ შორის იმპორტის მოსაკრებელს და შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო ფასდათმობების და ფასდაკლებების შემდეგ; (ბ) ნებისმიერ ხარჯს, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადია ერთეულის საჭირო ადგილზე და მდგომარეობაში მოყვანას, კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დაგეგმილი წესით ფუნქციონირებისთვის; (გ) ერთეულის დემონტაჟისა და ტერიტორიიდან გატანის, ასევე იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯების თავდაპირველ შეფასებას, რომელზედაც ამგვარი ერთეული იყო განთავსებული, და (დ) ვალდებულება, რომელსაც კომპანია გასწევს ერთეულის შეძენისას ან კონკრეტული პერიოდის განმავლობაში ერთეულის გამოყენების შედეგად, ამ პერიოდის განმავლობაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების წარმოების მიზნისაგან განსხვავებული მიზნით.

ამის შემდეგ, კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს კეთილმოწყობისა და გამოცვლის ძირითად დანახარჯებს, რომლებიც აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას ახანგრძლივებს ან ზრდის შემოსავლის წარმოქმნის სიმძლავრეს. რემონტის და ტექმომსახურების ხარჯები, რომლებიც არ

აკმაყოფილებენ კაპიტალიზაციის არსებულ კრიტერიუმებს, გაწევისთანავე აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივის ცვეთა და ამორტიზაცია დაირიცხება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ამორტიზებული თანხის ჩამოწერის გზით და დაანგარიშდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
სატრანსპორტო საშუალებები	5
სხვა ძირითადი საშუალებები	5
ოფისის აღჭურვილობა	3
არამატერიალური აქტივი	8

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულება მოიცავს თვითღირებულებას, მისი აკუმულირებული ცვეთის გამოკლებით. ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომელსაც კომპანია ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან მიიღებდა, გასვლის დანახარჯების დაქვითვის შემდეგ, აქტივი მოძველებული და ისეთ მდგომარეობაში რომ ყოფილიყო, როგორიც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისთვის.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდი ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება. წინა შეფასებებში ნებისმიერი ცვლილების გავლენა პერსპექტიულად აღირიცხება, სააღრიცხვო შეფასებაში ცვლილების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ერთეულის გაყიდვის ან გასხვისების ან ექსპლუატაციიდან ამოღების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც აქტივის გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება, კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, მარაგების გარდა, გაუფასურების ნიშნების აღმოჩენის მიზნით ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება. ასეთი ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, განისაზღვრება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურებაზე შესამოწმებლად აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად არ მოწმდება, ჯგუფდება უმცირეს ჯგუფებად, რომლებიც სხვა აქტივებისგან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისგან დამოუკიდებლად წარმოქმნის ფულად ნაკადებს უწყვეტი გამოყენების პირობებში.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის ხარჯით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

გაუფასურების ზარალის გაუქმება ხდება მხოლოდ იმდენად, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთისა და ამორტიზაციის გამოკლებით, გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება

მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი პროპორციულად გადანაწილდება ჯერ ამ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფზე) განაწილებული გუდვილის საბალანსო ღირებულების შესამცირებლად და შემდეგ ამ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფში) არსებული სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე.

სხვა აქტივებთან მიმართებით, წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, რომ გაირკვეს, ხომ არ არის ზარალი შემცირებული ან აღმოფხვრილი. გაუფასურების ზარალი გაუქმდება, თუ მოხდა ცვლილება ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ პროგნოზებში. გაუფასურების ზარალის გაუქმება ხდება მხოლოდ იმდენად, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთისა და ამორტიზაციის გამოკლებით, გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო.

ანარიცხები. ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ კონსტრუქციული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სანდოობით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღისთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება.

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მოთხოვნის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მოთხოვნის თანხის საიმედოდ შეფასებაა შესაძლებელია.

პირობითი აქტივი და ვალდებულებები. პირობითი ვალდებულებები არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინების ალბათობა მაღალია. პირობითი აქტივები არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა ისინი განხილულია ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც სავარაუდოა ეკონომიკური სარგებლის მიღება.

ფინანსური ინსტრუმენტები. კომპანიამ გადაწყვიტა გამოეყენებინა ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ანარიცხის აღიარების და შეფასების მეთოდი, ბასს (IAS) 39-ის („ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“) და მსს ფასს სტანდარტის მე-11 და მე-12 ნაწილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აღიარდება იმ დროს, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტების სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. საოპერაციო დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადია ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენასა თუ გამოშვებასთან (მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების სამართლიან

ღირებულებას. საოპერაციო დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადია მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენასა თუ გამოშვებასთან, პირდაპირ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები. ფინანსური აქტივები იყოფა შემდეგ კონკრეტულ კატეგორიებად: 'სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად', 'დაფარვის ვადამდე ფლობილ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებად', 'გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად' და 'სესხებად და მოთხოვნებად'. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის ხასიათსა და მიზნობრიობაზე და განისაზღვრება საწყისი აღიარებისას.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გაანგარიშებისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალში მოსალოდნელი ფულადი სახსრების (მათ შორის ყველა გადახდილი ან მიღებული საფასური, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, საოპერაციო დანახარჯები და სხვა პრემიები თუ ფასდაკლებები) დისკონტირებას სავალო ინსტრუმენტის მოქმედების მოსალოდნელ ვადაზე ან, საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე ვადაზე, საწყისი აღიარებისას დაფიქსირებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. სავალო ინსტრუმენტებისთვის შემოსავალი/ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივებია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში სამთვიანი ან ნაკლები დაფარვის ვადით, რომლებიც მარტივად კონვერტირდება ფულადი სახსრების ცნობილ ოდენობად, ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკის გათვალისწინებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შეფასება შემდგომში ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოკლევადიანი მოთხოვნები, რომლებზეც პროცენტი არ ირიცხება, ნომინალური ღირებულებით აღირიცხება, მე-12 განყოფილების შესაბამისად.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების გამოსავლენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან შეფასებულ მომავალ ფულად ნაკადებზე.

ყველა დანარჩენი ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება იქნება:

- ემიტენტის ან კონტრაჰენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები; ან
- ხელშეკრულების პირობების დარღვევა, როგორიც არის ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება; ან
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- აღნიშნული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური სირთულეების გამო.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული

მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით ყველა ფინანსური აქტივისთვის. გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, რა შემთხვევაშიც საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ის ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. თუ კომპანია არც გადასცემს და არც შეინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს და განაგრძობს გადაცემული აქტივის კონტროლს, კომპანია აქტივში და დაკავშირებულ ვალდებულებაში შენარჩუნებულ პროცენტს აღიარებს იმ თანხის ოდენობით, რომლის გადახდაც შეუძლია. თუ კომპანია ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, კომპანია აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს შემოსულობისთვის უზრუნველყოფილ ნასესხებ სახსრებს.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებული ან მისაღები საზღაურის თანხას შორის, მოგება-ზარალში აღიარდება.

ფინანსური აქტივის აღიარების არასრულად შეწყვეტის შემთხვევაში (მაგ. როდესაც კომპანია იტოვებს გადაცემული აქტივის ნაწილის გამოსყიდვის უფლებას), კომპანია ფინანსური აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებას გადაანაწილებს იმ ნაწილზე, რომელში მონაწილეობის შენარჩუნებასაც აღიარებს, და იმ ნაწილზე, რომელსაც აღარ აღიარებს, გადაცემის თარიღისთვის მათი ფარდობითი სამართლიანი ღირებულების მიხედვით. აღიარებაშეწყვეტილი ნაწილისთვის მიკუთვნებულ საბალანსო ღირებულებასა და აღიარებაშეწყვეტილ ნაწილში მიღებული საზღაურისა და მასზე განაწილებული შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები - ვალად ან საკუთარ კაპიტალად კლასიფიკაცია. სესხი და კომპანიის მიერ გაცემული წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები ან საკუთარი კაპიტალი, სახელშეკრულებო შეთანხმების არსის და ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტების განმარტების მიხედვით.

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებებია მიღებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

ფინანსური ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები (რომლებიც წარმოდგენილია ნასესხები სახსრებით, სავაჭრო და სხვა ვალდებულებით) შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამის მსგავსად, ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება გამარტივებული მეთოდის გამოყენებით, რომელიც განსაზღვრულია 11 განყოფილებაში:

- მომწოდებლებისგან კრედიტით შეძენილი მოკლევადიანი საქონლისთვის, ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი არადისკონტირებული თანხით. წინამდებარე ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ფულადი სახსრების ან მოსალოდნელი საზღაურის არადისკონტირებული თანხით.
- ბანკიდან აღებული სესხის შემთხვევაში, ვალდებულების თავდაპირველი აღიარება ხდება ბანკისთვის გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და

პროცენტების) სავალო ინსტრუმენტები შემდგომში, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც მოხდება კომპანიის ვალდებულებების გაქვითვა, გაუქმება ან ვადის გასვლა. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ განხორციელებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

ავანსად გადახდილი გადასახადები და სხვა საგადასახადო ვალდებულება. ავანსად გადახდილი გადასახადები აღირიცხება ნომინალური ღირებულებით, რასაც აკლდება მოსალოდნელი უიმედო თანხების რეზერვი. საგადასახადო ვალდებულება, მოგების გადასახადის გარდა ნომინალური ღირებულებით აღირიცხება.

ცვლილებები წარდგენაში

2024 წლიდან კომპანიამ შეცვალა გარკვეული მუხლების წარმოდგენა მოგება-ზარალის და და სხვა სრული შემოსავლის და ასევე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. შედეგად, შედარებადი ფინანსური მონაცემების წარდგენა ახალი მიდგომის შესაბამისად დაკორექტირდა.

კორექტირება და მისი გავლენა შედარებადი პერიოდის ინფორმაციაზე 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე:

	გადაანგარიშებამდე	*კორექტირება*	*გადაანგარიშებული*
შემოსავალი რეალიზაციიდან	50,893	(8,285)	42,608
სხვა საოპერაციო შემოსავალი	51	(51)	-
თვითღირებულების ხარჯი	(34,453)	2,334	(32,119)
მთლიანი მოგება	**16,491**	**(6,002)**	**10,489**
ხელფასის ხარჯი	(4,729)	4,729	-
რეკლამის ხარჯი	(8,331)	8,331	-
ტრანსპორტირების ხარჯი	(662)	662	-
ადმინისტრაციული ხარჯები	(1,741)	753	(988)
ცვეთის ხარჯი	(82)	82	-
სხვა ხარჯები	(64)	64	-
ვალუტის გადაფასებიდან მიღებული მოგება	163	(163)	-
ფინანსური შემოსავლები	2	(2)	-
სხვა საოპერაციო შემოსავლები	2,541	(2,536)	5
ვალუტის გადაფასებიდან მიღებული ზარალი	(278)	278	-
ფინანსური ხარჯები	(1,000)	2	(998)
მარაგების გაუფასურება	(72)	72	-
სხვა საოპერაციო ზარალი	(65)	65	-
კურსთაშორისი სხვაობები		(115)	(115)
გაყიდვების და დისტრიბუციის ხარჯები		(6,432)	(6,432)
მოგება დაბეგვრამდე	**2,173**	**(212)**	**1,961**
მოგების გადასახადი	(108)	13	(95)
წლის წმინდა მოგება	**2,065**	**(199)**	**1,866**
სულ სრული შემოსავალი	**2,065**	**(199)**	**1,866**

ცვლილებები წარდგენაში (გაგრძელება)

კორექტირება და მისი გავლენა შედარებადი პერიოდის ინფორმაციაზე 2022 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე:

2023 წლის 31 დეკემბერი	*გადაანგარიშებამდე*	*კორექტირება*	*გადაანგარიშებული*
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	250	-	250
არამატერიალური აქტივები	70	-	70
სულ გრძელვადიანი აქტივები	**320**	**-**	**320**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7,997	(22)	7,975
საგადასახადო აქტივი	11	(11)	-
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	22	(22)	-
წინასწარ გაწეული ხარჯები	15	1	16
დებიტორული დავალიანება	14,634	(313)	14,321
ფული და ფულის ექვივალენტები	722	-	722
სულ მოკლევადიანი აქტივები	**23,401**	**(367)**	**23,034**
სულ აქტივები	**23,721**	**(367)**	**23,354**
კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი	2	-	2
გაუნაწილებელი მოგება	11,677	(370)	11,307
სულ კაპიტალი	**11,679**	**(370)**	**11,309**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	585	-	585
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**585**	**-**	**585**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	8,980	-	8,980
კრედიტორული და სხვა ვალდებულებები	1975	432	2,407
მიღებული ავანსები	27	(27)	-
საგადასახადო ვალდებულებები	82	(9)	73
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	393	(393)	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**11,457**	**3**	**11,460**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**23,721**	**(367)**	**23,354**

ცვლილებები წარდგენაში (გაგრძელება)

2022 წლის 31 დეკემბერი	*გადაანგარიშებამდე*	*კორექტირება*	*გადაანგარიშებული*
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	248	-	248
არამატერიალური აქტივები	8	-	8
სულ გრძელვადიანი აქტივები	**256**	**-**	**256**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6,238	78	6,316
საგადასახადო აქტივი	11	(11)	-
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	37	(37)	-
წინასწარ გაწეული ხარჯები	21	(5)	16
დებიტორული დავალიანება	13,172	(206)	12,966
ფული და ფულის ექვივალენტები	405	-	405
სულ მოკლევადიანი აქტივები	**19,884**	**(181)**	**19,703**
სულ აქტივები	**20,140**	**(181)**	**19,959**
კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი	2		2
გაუნაწილებელი მოგება	10,152	(171)	9,981
სულ კაპიტალი	**10,154**	**(171)**	**9,983**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	1,146	-	1,146
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**1146**	**-**	**1146**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	7,415	-	7,415
კრედიტორული და სხვა ვალდებულებები	947	415	1,362
მიღებული ავანსები	17	(17)	-
საგადასახადო ვალდებულებები	64	(11)	53
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	397	(397)	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**8,840**	**(10)**	**8,830**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**20,140**	**(181)**	**19,959**

4. გადამწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების განუსაზღვრელობის მნიშვნელოვანი წყაროები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, რომლებიც მე-3 შენიშვნაშია აღწერილი, დირექტორებს მოეთხოვებათ განსჯის, შეფასების და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან მზა სახით ხელმისაწვდომი არ არის. ეს შეფასებები და მათთან დაკავშირებული დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც აქტუალურად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდნენ ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და თანმდევი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა ამ შეფასების გადახედვა, თუ ამ უკანასკნელს გავლენა აქვს მხოლოდ ამ პერიოდზე, ან გადახედვის პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ გადახედვა გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

ქვემოთ მოცემულია გადაწყვეტილებები, რომლებსაც აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

(i) ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა

ძირითადი საშუალებების ერთეულების სასარგებლო გამოყენების ვადების განსაზღვრა განსჯის საგანია, მსგავსი აქტივებისგან მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ამ აქტივებში ჩართული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარება, მეტწილად, მათი ექსპლუატაციით ხდება. თუმცა სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ფიზიკური ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში ჩართული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა დარჩენილ სასარგებლო გამოყენების ვადებს აფასებს აქტივების ამჟამინდელ ტექნიკურ მდგომარეობაზე და იმ სავარაუდო პერიოდზე დაყრდნობით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია აქტივისგან სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. რომელიმე ან პირობაში ან შეფასებაში მომხდარმა ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს სამომავლო ცვეთის კოეფიციენტების კორექტირება.

5. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2024	2023 (გადაანგარიშებული)
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	34,369	42,608
შემოსავალი რეალიზაციიდან	**34,369**	**42,608**

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ჰიგიენური საქონლის და სურსათის რეალიზაცია.

6. გაყიდული საქონლის თვითღირებულება და მარაგები

	2024	2023 (გადაანგარიშებული)
სილამაზის და ჰიგიენის პროდუქტები	27,097	32,119
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	**27,097**	**32,119**

	2024	2023 (გადაანგარიშებული)
საწყისი საბალანსო ღირებულება	**7,975**	**6,316**
მარაგების შეძენა	27,901	33,540
რეალიზებულის თვითღირებულება	(27,097)	(32,119)
საწვავის ხარჯი	(487)	(536)
სარეალიზაციო მარაგები გზაში	-	774
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი წლის ბოლოს	**8,292**	**7,975**

7. გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯები

	2024	2023 (გადაანგარიშებული)
გაყიდვების და დისტრიბუციის პერსონალის გასამრჯელოები	4,069	4,152
იჯარის ხარჯი	1,375	1,353
საწვავის ხარჯი	487	536
ტრანსპორტირების ხარჯი	107	127
კომუნალური ხარჯი	61	64
მანქანის ტექნიკური მომსახურების ხარჯი	24	37
ანარიცხები	15	97
სხვა გაყიდვების და სადისტრიბუციო ხარჯი	71	66
გაყიდვების და დისტრიბუციის ხარჯი	**6,209**	**6,432**

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023 (გადაანგარიშებული)
ადმინისტრაციული პერსონალის გასამრჯელოები	497	562
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურების ხარჯი	306	193
ცვეთა და ამორტიზაცია	64	82
საბანკო მომსახურება	59	34
ოფისის ხარჯები	45	52
წარმომადგენლობითი ხარჯები	55	18
საკომუნიკაციო ხარჯები	28	24
დაზღვევის ხარჯები	13	21
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	3	2
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**1,070**	**988**

9. მოგების გადასახადი

2024 და 2023 წლებში კომპანიამ აღიარა 35 ლარი და 95 ლარის ოდენობით მოგების გადასახადის დანარიცხი, განაწილებულ მოგებაზე, რომელიც დაერიცხა შესაბამის წლებში გაცემულ დივიდენდს.

10. სესხები და ნასესხები სახსრები

2022, 2023 და 2024 წელს კომპანიის ნასესხები სახსრები შედგება ქართული კომერციული ბანკებიდან მიღებული მოკლევადიანი სესხებისგან, რომლის დაფარვის ვადა საანგარიშგებო პერიოდისთვის განისაზღვრა 2025 წელი.

	2024	2023 (გადაანგარიშებული)	2022 (გადაანგარიშებული)
მოკლევადიანი სესხები	12,161	8,980	7,415
გრძელვადიანი სესხები	-	585	1,146
სულ ნასესხები საშუალებები	**12,161**	**9,565**	**8,561**

	2024	2023 (გადაანგარიშებული)
სესხების ნაშთი წლის დასაწყისში	**9,565**	**8,561**
ძირის ათვისება	18,620	28,166
დარიცხული პროცენტი	1,083	998
გადახდილი ძირი	(16,063)	(27,170)
გადახდილი პროცენტი	(1,044)	(990)
სესხების ნაშთი წლის ბოლოს	**12,161**	**9,565**

კომპანია კომერციული ბანკიდან მიღბულ სახსრებს იყენებს ლიკვიდობის და არსებული ბიზნეს ოპერაციების სამართავად. სასესხო ხელშეკრულებები კომპანიას არ აკისრებს გარკვეულ ფინანსურ და არაფინანსურ ვალდებულებების შესრულებას. სასესხო ხელშეკრულებით დაგირავებულია სასაქონლო მარაგები 2024 წელს 8,292 და 2023 წელს 7,975 ლარის მოცულობით.

11. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის ინვენტარი	სულ	არამატერია-ლური აქტივები
მთლიანი საბალანსე ღირებულება				
31 დეკემბერი, 2022წ.	**541**	**319**	**860**	**45**
შეძენა	92	32	124	70
ჩამოწერა	(209)	(44)	(253)	-
31 დეკემბერი, 2023წ.	**424**	**307**	**731**	**115**
შეძენა	-	14	14	23
ჩამოწერა	(116)	(19)	(135)	(45)
31 დეკემბერი, 2024წ.	**308**	**302**	**610**	**93**
დაგროვილი ცვეთა				
31 დეკემბერი, 2022წ.	**368**	**244**	**612**	**37**
წლის განვმალობაში დარიცხული ცვეთა	42	32	74	8
ჩამოწერა	(161)	(44)	(205)	-
31 დეკემბერი, 2023წ.	**249**	**232**	**481**	**45**
წლის განვმალობაში დარიცხული ცვეთა	34	19	53	11
ჩამოწერა	(95)	(19)	(114)	(45)
31 დეკემბერი, 2024წ.	**188**	**232**	**420**	**11**
წმინდა საბალანსე ღირებულება				
31 დეკემბერი, 2022წ.	**173**	**75**	**248**	**8**
31 დეკემბერი, 2023წ.	**175**	**75**	**250**	**70**
31 დეკემბერი, 2024წ.	**120**	**70**	**190**	**82**

კომპანიის ძირითადი საშუალების მუხლები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვალდებულებების უზრუნველყოფის საგნის სახით არ იყო დაგირავებული.

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ა) სავაჭრო მოთხოვნები

	2024	2023 (გადაანგარი-შებული)	2022 (გადაანგარი-შებული)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15,347	14,934	13,482
საეჭვო ვალების რეზერვი	(629)	(613)	(516)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**14,718**	**14,321**	**12,966**

	ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა					
31 დეკემბერი, 2024	**ვადაგადა უცილებელი**	**< 30**	**30–60**	**60–90**	**>90**	**სულ**
დეფოლტის დროს მოსალოდნელი საბალანსო ღირებულება, სულ	13,177	1,018	547	374	231	15,347
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	-	102	109	187	231	629

	ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა					
31 დეკემბერი 2023	**ვადაგადა უცილებელი**	**< 30**	**30–60**	**60–90**	**>90**	**სულ**
დეფოლტის დროს მოსალოდნელი საბალანსო ღირებულება, სულ	12,858	985	472	398	221	14,934
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	-	99	94	199	221	613

	ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა					
31 დეკემბერი 2022	**ვადაგადა უცილებელი**	**< 30**	**30–60**	**60–90**	**>90**	**სულ**
დეფოლტის დროს მოსალოდნელი საბალანსო ღირებულება, სულ	11,780	870	321	291	220	13,482
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	-	86	64	146	220	516

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის მოძრაობა ასეთი იყო:

	2024	**2023 (გადაანგარიშებული)**
ნაშთი წლის დასაწყისში	**613**	**516**
დარიცხული ანარიცხი (შენიშვნა 7)	15	97
ნაშთი წლის ბოლოს	**629**	**613**

ბ) წინასწარი გადახდა მომწოდებლებისთვის

	2024	**2023 (გადაანგარი-შებული)**	**2022 (გადაანგარი-შებული)**
წინასწარ გადახდილი თანხები	396	16	16

2024 წლის ბოლოს ზრდა ძირითადად გამოწვეულია მომწოდებელთან გადახდილი საავანსოთი, რომლის შესაბამისი პროდუქციაც 2025 წლისთვის მიღებულია.

13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს განთავსებულ საქართველოს კომერციულ ბანკებში (რომელთა რისკებიც შეფასებულია Ba2/BB), საწყისი სამთვიანი ან ნაკლები დაფარვის ვადით.

	2024	2023 (გადაანგარიშებული)	2022 (გადაანგარიშებული)
ფული ბანკში	417	713	399
ნაღდი ფული სალაროში	31	9	6
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**448**	**722**	**405**

14. კაპიტალი

2024 წლის ბოლოს კომპანიის საწესდებო კაპიტალმა შეადგენდა 2 ლარი (2023 წელს: 2, 2022 წელს: 2). 2024 წელს კომპანიამ გასცა დივიდენდი 200 ლარი (2023 წელს: 540 ლარი).

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024	2023 (გადაანგარიშებული)	2022 (გადაანგარიშებული)
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	2,399	2,285	1,249
გადასახდელი ხელფასები	157	122	113
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**2,556**	**2,407**	**1,362**

სავაჭრო ვალდებულებებზე არ ირიცხება პროცენტი და ჩვეულებრივ მათი დაფარვის ვადაა 90 დღე.

16. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საბოლოო მშობელ და მშობელ საწარმოებს, და ასევე უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრებს.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება გააფორმონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის გაფორმებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებით, როგორითაც გაფორმდებოდა გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებს შორის.

ყოველი შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. კომპანიას 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დაკავშირებულ მხარესთან არ ჰქონდა ნაშთები.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

	2024	2023
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ხელფასი	144	82

17. პირობითი ვალდებულებები

ვალდებულებები - კომპანიას არ ჰქონია არსებითი დაუფარავი ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

იურიდიული სამართალწარმოებები - 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ იყო ჩართული მნიშვნელოვან სასამართლო დავაში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ მოხდება არსებითი დაურიცხავი ზარალის გაწევა და შესაბამისად წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ გაკეთებულა ანარიცხი.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა და პრაქტიკა უწყვეტი განვითარების და შესაბამისად სხვადასხვა ინტერპრეტაციებისა და ხშირი ცვლილებების საგანს წარმოადგენს, რომელიც შესაძლოა რეტროაქტიული იყოს. გარდა ამისა, კომპანიის გარიგებებსა და საქმიანობებთან დაკავშირებული საგადასახადო კანონმდებლობის საგადასახადო უწყებებისმიერი ინტერპრეტაცია შესაძლოა არ დაემთხვეს კომპანიის მიერ გაკეთებულ ინტერპრეტაციებს. საგადასახადო პერიოდები ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ შემოწმებისთვის სამი წლის განმავლობაში. შედეგად, საგადასახადო უწყებებმა შესაძლოა ეჭვს ქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და მოსაკრებლები.

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული მოსაზრებები - კომპანიის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ გლობალურ ცნობას და მოსაზრებებს. დღეისათვის ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე და რთულია პროგნოზის გაკეთება ჯგუფის საქმიანობასა და საქმიან გეგმებზე მისი მომავალი გავლენების შესახებ. ხელმძღვანელობა განაგრძობს ამ მიმართულებით არსებული განვითარებების მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის ზომებს მიიღებს ჯგუფის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

18. ფინანსური ანგარიშგების შემდგომი მოვლენები

2025 წლის აპრილში განხორციელდა ცვლილება კომპანიის მფლობელობაში: არჩილ მაზიაშვილი - 25%, გია გიგოლაშვილი - 25% და კომპანიის 50% წილის მფლებელი გახდა კომპანია CHG & CO LTD. შესაბამისად ამავე პერიოდში მოხდა საწესდებო კაპიტალის შევსება 2.5 მილიონი ლარით.

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია დირექტორის მიერ და გამოსაცემად ნებადართულია 2025 წლის 26 სექტემბერს.

შპს „ჯეოსტარი“

მმართველობითი ანგარიშგება

2024 წელი

სარჩევი

1. კომპანიის ბიზნესის განვითარება, საქმიანობის შედეგები და მდგომარეობა 3
2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები 3
3. კომპანიის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების მიმოხილვა 4
4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ 4
5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები 5
6. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ; 6
7. ერთეულის საკრედიტო, ბაზრის, ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკებისა და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა 6
8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, საწარმოს მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით 6

1. კომპანიის ბიზნესის განვითარება, საქმიანობის შედეგები და მდგომარეობა

შპს „ჯეოსტარი“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს რეზიდენტი შპს, რომელიც ოპერირებს 2004 წლიდან. კომპანიის ოპერაციულ საქმიანობას წარმოადგენს კოსმეტიკური, ჰიგიენისა და პარფიუმერიის პროდუქტების, საკვებისა და სხვა სამომხმარებლო საქონლის იმპორტი და დისტრიბუცია.

კომპანია ეწევა სხვადასხვა მომწოდებლების პროდუქციის ფართო ასორტიმენტის იმპორტს და დისტრიბუციას. კომპანია ქირაობს ოთხ საწყობს სხვადასხვა რეგიონში სავაჭრო ობიექტებისათვის საქონლის მიწოდების მიზნით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. კომპანია სთავაზობს თავის პარტნიორებს საცალო ვაჭრობაში სხვადასხვა სარეკლამო-მარკეტინგულ აქტივობებს, მათი სპეციფიკისა და პროფილის გათვალისწინებით.

2024 წელს კომპანიამ 34,369 ათასი ლარის შემოსავალი დააფიქსირა. ზარალმა 2024 წელს 1,425 ათასი ლარი შეადგინა. 2024 წელს მთლიანი მოგების მარჟა 21.1%-ს შეადგენდა. დღეისათვის კომპანიაში დასაქმებულია 202 თანამშრომელი.

გარემოს დაცვა კომპანიის წარმატებული, ხანგრძლივვადიანი განვითარების ერთერთი წინაპირობაა. ბიზნესის გაზრდის კვალობაზე იზრდება ჩვენი ზემოქმედება გარემოზე. საწარმოო შეფუთვების ნარჩენები, პოლიეთილენის პარკები, თავის საქმიანობაში კომპანია ხელმძღვანელობს საქართველოს გარემოს დაცვის კანონისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ მიღებული ნორმატივების შესაბამისად. თუმცა კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, ვაჭრობის სფეროს ბიზნესში არ არის დაწესებული განსაკუთრებული რეგულაციები გარემოს დაცვის ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლის დაუცველობაც საფრთხეს შეუქმნის კომპანიის საქმიანობას.

2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

ყურადღებემისაქცევია ბოლოდროინდელი ტენდენცია, რომ მწარმოებლები სულ უფრო მეტად იკვლევენ საბოლოო მომხმარებლებთან უშუალო ურთიერთქმედების შესაძლებლობებს, გვერდს უვლიან ტრადიციულ სადისტრიბუციო არხებს და ქმნიან საკუთარ მძლავრ ელექტრონული კომერციის პლატფორმებს. ეს სტრატეგიული ნაბიჯი მწარმოებლებს საშუალებას აძლევს დაუკავშირდნენ უშუალოდ საბოლოო მომხმარებლებს, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანოს სადისტრიბუციო ბიზნესში.

კომპანიამ უნდა გააცნობიეროს ამ ცვალებად ვითარებასთან მორგების მნიშვნელობა, განავითაროს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება და ელექტრონული კომერციის შესაძლებლობების გამოყენება თავის საქმიანობაში. ეს მისცემს მას საშუალებას იყოს კონკურენტუნარიანი და შეინარჩუნოს მდგრადობა ბაზარზე, რომელიც სულ უფრო მეტად გადადის მწარმოებლისა და საბოლოო მომხმარებლის უშუალო ურთიერთქმედებისკენ.

კომპანია მზადაა ამ გამოწვევების გადასალახად, გარდა ჩამოთვლილი ამოცანებისა, რომელთა შესრულება წლიდან-წლამდე აქტუალურია:

- არსებული პროდუქციის განვითარება - პროდუქციის გაყიდვების გაზრდა ბაზრებზე ფასების სეგმენტაციის, დისტრიბუციის სრულყოფის გზით;
- ახალი ბრენდები - ახალი ბრენდების ან/და ახალი პროდუქტების შეთავაზება არსებულ გაყიდვის ქსელებში;
- ბაზრის განვითარება - არსებული პროდუქციის გაყიდვები ახალ ბაზრებზე ფასების, შეფუთვის, დისტრიბუციისა და გეოგრაფიული გაფართოების გზით;
- სადისტრიბუციო პორტფელის შევსება სხვადასხვა დანიშნულების პროდუქციით;

კომპანია ყურადღებას ამახვილებს სამი მიმართულებით, რომელთა მნიშვნელობა მზარდი იქნება მომავალში:

- ფასებზე დაკვირვება 2025 წელს - მოგების დინამიკის ტრანსფორმირება; პრიორიტეტები გადალაგდება შემდეგნაირად: პროდუქტის ფასი, ხელმისაწვდომობა, მარკეტინგული მხარდაჭერა.
- მომხმარებელთა სეგმენტაციის მოწინავე პრაქტიკა: მომხმარებლების სისტემატური კლასიფიკაციით ცალკეულ სეგმენტებად, კომპანია მიიღებს ზუსტ ინფორმაციას თითოეული ჯგუფის შესახებ გადახდის მზაობის სხვადასხვა დონეებისა და შესასყიდი პროდუქციის შესახებ.
- კონკურენტების მონაცემთა თვალყურის დევნება, როგორც მოგების გაზრდის სტრატეგია: კერძოდ, კომპანიის ამოცანაა გაიგოს კონკურენტების შეთავაზებების შესახებ, ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა ხარვეზის ანალიზი, როცა კომპანიები აიდენტიფიცირებენ პროდუქტებსა და სერვისებს, რომლებსაც კონკურენტები აწვდიან ან არ აწვდიან მომხმარებელს (და პირიქით). ამ ხარვეზების ამოცნობით, კომპანიას შეუძლია შესაბამისად იმოქმედოს, მაგალითად, წარმოადგინოს ახალი პროდუქტები ან სერვისები, რითაც გაზრდის შემოსავლებსა და გაყიდვებს.

3. კომპანიის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების მიმოხილვა

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპანია არ არის ჩართული რაიმე სახის სამეცნიერო კვლევებში, თუმცა ბაზრის განვითარების კუთხით მუდმივად ახორციელებს ბაზრის კვლევას და თავის კლიენტებს სთავაზობს გარკვეულ აქტივობებს თუ კამპანიებს რომელიც ხელს უწყობს ბაზრის განვითარებაში და საკუთარი პროდუქციის ბრენდის პოზიციონირებაში.

4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას არ აქვს იურიდიული ფილიალები, თუმცა საწყობები აქვს განლაგებული სხვადასხვა ლოკაციაზე: თბილისში, ბათუმში, ქუთაისში. ცენტრალური საწყობი გააჩნია თბილისში (2 ერთეული), საიდანაც ამარაგებს ბათუმისა და ქუთაისს.

5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი ფინანსური ინდიკატორის ანალიზი შემდეგია:









ძირითადი არაფინანსური ინდიკატორის ინფორმაცია შემდეგია:





6. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წელს კომპანიის მიერ არ განხორციელებულა საკუთარი აქციების შეძენა. თუმცა 2025 წელს (აღნიშნული ანაგარიშგების გამოშვებამდე) კომპანიამ მოახდინა საკუთარი კაპიტალის შევსება 2.5 მილიონი ლარით.

7. ერთეულის საკრედიტო, ბაზრის, ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკებისა და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა

კომპანიის გაყიდვების უმეტესი ნაწილი კრედიტის პირობებში ხდება. კლიენტებთან კრედიტის ვადა 30-დან 90 დღემდე მერყეობს. მომწოდებლებთან კრედიტის პირობები მერყეობს 30-დან 60 დღემდე. ასევე კომპანიას გააჩნია საკრედიტო ხაზი, რომელიც ლიკვიდურობის მართვის მიზნით გამოიყენება.

დამფუძნებლები ასევე პერიოდულად ახდენენ კაპიტალის მოზიდვას საჭიროების შემთხვევაში.

8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, საწარმოს მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით

კომპანია რისკების მინიმიზაციის მიზნით სისტემატურად აკონტროლებს თავისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და ბაზარზე არსებულ მდგომარეობას.

კომპანია განიხილავს პოტენციურ რისკებს ოთხი მიმართულებით:

1. საბაზრო და მაკროეკონომიკური - კომპანიის საქმიანობის სფეროში კონკურენცია მაღალია, რასაც განაპირობებს არა მარტო მსგავსი დანიშნულების პროდუქციის, არამედ მეზობელი ქვეყნების ბაზრებისათვის განკუთვნილი ადგილობრივი წარმოების ანალოგიური ბრენდების პროდუქციის შეთავაზება მომხარებლისათვის კონკურენტულ ფასებში. თუმცა კომპანია წარმატებით უმკლავდება ამ გამოწვევას სხვადასხვა ტიპის სარეკლამო- მარკეტინგული აქციებით.
2. ფინანსური - ამ მიმართულებითაც კომპანიის რისკები მინიმალურია, რადგან მოზიდული საბანკო სახსრები ლარშია აღებული საბაზრო მინიმალური პროცენტის პირობებში. ამიტომ ლარი/დოლარი/ევროს კურსის ცვლილება არ იწვევს კომპანიისთვის სავალუტო რისკებს, ასევე გაყიდვებიც ეროვნულ ვალუტაშია, ხოლო მომწოდებელთან შეთანხმებული ანგარიშწორების პირობები ასევე ითვალისწინებს სავალუტო რისკებს და საჭიროების შემთხვევაში ჩადებულია ჰეჯირების მარტივი ინსტრუმენტები (წინასწარ გადახდა ან შეთანხმებული კურსი).
3. იურიდიული/ფისკალური - გადასახადების (საბაჟო, შემოსავლების სამსახური) სტაბილურობა და განჭვრეტადობა საშუალო ვადიან პერსპექტივაში, საქართველოს

საგადასახადო კოდექსის მოგების გადასახადის „ესტონური“ მოდელი, კომპანიისთვის მომგებიანი აღმოჩდა და ამცირებს საგადასახადო რისკებს.

4. ოპერაციული - კომპანიას თავისი შეთავაზების პორტფელში აქვს მომხმარებლისათვის კარგად ცნობადი და მაღალი რეპუტაციის მქონე ბრენდები, რომელიც ძირითადად ყველაზე დიდ - საშუალო საფასო სეგმენტს მოიცავს და გამოირჩევა პროდუქციის ხარისხისა და ფასის ოპტიმალური თანაფარდობით. ამიტომ, დიდი კონკურენციის მიუხედავად, გააზრებული და სწორად დაგეგმილი სტრატეგიის პირობებში, რომელიც პირველ რიგში მაღალკვალიფიციურ პერსონალსა და გამართულ ლოჯისტიკას ეყრდნობა, ოპარაციული რისკები მინიმალურია.

შპს „ჯეოსტარი“-ს დირექტორი

მუხრან ბერიძე

26.09.2024

საგადასახადო კოდექსის მოგების გადასახადის „ესტონური“ მოდელი, კომპანიისთვის მომგებიანი აღმოჩდა და ამცირებს საგადასახადო რისკებს.

4. ოპერაციული - კომპანიას თავისი შეთავაზების პორტფელში აქვს მომხმარებლისათვის კარგად ცნობადი და მაღალი რეპუტაციის მქონე ბრენდები, რომელიც ძირითადად ყველაზე დიდ - საშუალო საფასო სეგმენტს მოიცავს და გამოირჩევა პროდუქციის ხარისხისა და ფასის ოპტიმალური თანაფარდობით. ამიტომ, დიდი კონკურენციის მიუხედავად, გააზრებული და სწორად დაგეგმილი სტრატეგიის პირობებში, რომელიც პირველ რიგში მაღალკვალიფიციურ პერსონალსა და გამართულ ლოჯისტიკას ეყრდნობა, ოპარაციული რისკები მინიმალურია.

შპს „ჯეოსტარი“-ს დირექტორი

მუხრან ბერიძე

26.09.2024